

საქართველოს რაგბის კავშირის
გამგეობის
სხდომის ოქმი
2022 წლის 2 მაისი | სასტუმრო „თბილისი მარიოტი“

ესწრებოდნენ:

კობა გიორგაძე	(დაბადებული 26.10.1979 წ.; პირადი № 60001009009)
აკაკი დავითულიანი	(დაბადებული 01.06.1975 წ., პირადი № 12001031106)
ზვიად თავართქილაძე	(დაბადებული 06.09.1975 წ.; პირადი № 01029001924)
დავით კაჭარავა	(დაბადებული 06.09.1975 წ.; პირადი № 01035000140)
გიორგი კობახიძე	(დაბადებული 23.11.1953 წ., პირადი № 01011021299)
იოსებ ტყემალაძე	(დაბადებული 25.12.1976 წ., პირადი № 01024009582)
გრიგოლ ქერაშვილი	(დაბადებული 16.03.1956 წ.; პირადი № 35001058678)
გელა ქობულაძე	(დაბადებული 30.04.1986 წ.; პირადი № 61006019618)
ალექსანდრე ხვედელიძე	(დაბადებული 21.10.1965 წ., პირადი № 01014002287)
ლაშა ხურციძე	(დაბადებული 13.02.1975 წ.; პირადი № 01008014751)

სხდომის მომწვევი: დავით კაჭარავა, სრკ-ს გამგეობის თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარე: დავით კაჭარავა

სხდომის მდივანი: ნატალია კურტანიძე

სხდომაზე დამსწრე სხვა პირები:

- ნიკოლოზ ალავეძე, სრკ-ს პრეზიდენტის მრჩეველი
- თორნიკე გოგებაშვილი, სრკ-ს ადმინისტრაციული დირექტორი
- ლექსო გუგავა, სრკ-ს ოპერაციების დირექტორი
- ივანე დავითაშვილი, სრკ-ს პროფესიულ კლუბებთან ურთიერთობის მენეჯერი
- შალვა ხაბულიანი, სრკ-ს მაღალი მიღწევის ადმინისტრატორი
- თემურ ბენდიაშვილი, კლუბ „ლოკომოტივის“ წარმომადგენელი
- ზვიად მაისურაძე, კლუბ „ლოკომოტივის“ წარმომადგენელი

სხდომამ განიხილა დღის წესრიგში შევამალი შემდეგი საკითხები:

- 1 სრკ-ს სააპელაციო კომისიის ორი წევრის ჩანაცვლება
მომხსენებელი: ედუარდ ნაჭყებია
- 2 ახალი სატრანსფერო დებულების მიმოხილვა
მომხსენებელი: გედი ნაჭყებია
- 3 ფრანშიზა „შავი ლომის“ საქმიანობის შეჯამება და ანალიზი
მომხსენებელი: ლევან მაისაშვილი, შალვა ხაბულიანი

- 4 შიდა ჩემპიონატის რესტრუქტურის პროექტი
მომხსენებელი: ივა დავითაშვილი
- 5 კლუბ „ლოკომოტივის“ მომართვაზე მსჯელობა
მომხსენებელი: თემურ ბენდიაშვილი
- 6 საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის ფონდის დაარსება
მომხსენებელი: ნიკოლოზ ალავიძე

სხდომამ გადაწყვიტა:

1

პირველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სრკ-ს სააპელაციო კომისიის შემადგენლობის ცვლილებას, გამგეობის წევრებმა მოისმინეს სრკ-ს იურისტის ედუარდ ნაჭყებიას განმარტება იმის თაობაზე, რომ კომისიის ორი წევრის ცვლილება გამოწვეულია სრკ-ს პროვაიდერი იურიდიული კომპანიიდან შესაბამისი თანამშრომლების - ედუარდ ამოევის და თეონა მალრაძის - წასვლით, რის გათვალისწინებითაც პროვაიდერმა კომპანიამ შემოგვთავაზა სააპელაციო კომისიის ორი ახალი კანდიდატი: ანა გვასალია (პ/ნ 01031006894; მცხოვრები: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N80, “B” ბლოკი, მე-3 სართული, ბინა N7) და ბერდია ახალბედაშვილი (პ/ნ 01011090560; მცხოვრები: ქ. თბილისი, ლეხ კაჩინსკის ქ. N9, ბ.81). ედუარდ ნაჭყებიამ განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილება გავლენას არ ახდენს პროვაიდერთან ურთიერთობის ხარისხზე და სააპელაციო კომისიის მუშაობის წესზე. **ზემოთქმულის საფუძველზე, გამგეობის წევრებმა ერთხმად მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება:**

- ა) თანხმობა მიეცეს სრკ-ს პრეზიდენტს სადისციპლინო კომისიის წევრები ედუარდ ამოევი (დაბ: 14.07.1994წ., პ/ნ 01017052656) და თეონა მალრაძე (დაბ: 15.02.1997წ., პ/ნ 01019075482) განთავისუფლებულ იქნას თანამდებობიდან.
- ბ) თანხმობა მიეცეს კავშირის პრეზიდენტს სადისციპლინო კომისიის წევრად დაინიშნოს ანა გვასალია (პ/ნ 01031006894; საცხოვრებელი მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N80, “B” ბლოკი, მე-3 სართული, ბინა N7) და ბერდია ახალბედაშვილი (პ/ნ 01011090560; საცხოვრებელი მისამართი: ქ. თბილისი, ლეხ კაჩინსკის ქ. N9, ბ.81).

2

მეორე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა საქართველოს რაგბის კავშირის სატრანსფერო დებულებაში შესატანი ცვლილებების პროექტის გაცნობას, გამგეობის წევრებმა მოისმინეს სრკ-ს იურისტის ედუარდ ნაჭყებიას პრეზენტაცია. პრეზენტაციის ფარგლებში, ედუარდ ნაჭყებიამ განმარტა, რომ დებულება მთლიანად განახლებულია მსოფლიო რაგბის სატრანსფერო დებულების შესაბამისად და ისაუბრა ძირითად ცვლილებებზე, რომლებიც ეხებოდა მოთამაშის სტატუსის უფრო მკაფიოდ განმარტებას, მოთამაშეთა რეგისტრაციის წესს, მორაგბის წვრთნისა და განვითარების ასაკის განსაზღვრას, კომპენსაციასთან

დაკავშირებულ მუხლებს და სატრანსფერო ფანჯარას. დებულების პროექტი გაგზავნილია კლუბებთან, რომლებსაც ამა წლის 6 მაისის ჩათვლით მიეცათ ვადა წარმოადგინონ თავინთი არგუმენტირებული კომენტარები და შენიშვნები, რის შემდეგაც მოხდება სატრანსფერო დებულების საბოლოო სახით დამუშავება და გამგეობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა.

გამგეობის წევრებმა იმსჯელეს სატრანსფერო დებულებაში შესატანი ცვლილებების პროექტზე, მოიწონეს ის და გასცეს შემდეგი რეკომენდაციები:

- დებულებაში გათვალისწინებულ იქნას მოთამაშეთა კეთილდღეობის მოთხოვნები;
- პროექტი გაეცნოს შიდა ჩემპიონატის მონაწილე მორაგბეებს, რათა მათ ასევე შეიტანონ თავიანთი წვლილი დებულების შემუშავებაში

3

მესამე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა ფრანშიზა „შავი ლომის“ საქმიანობის შეჯამებას და ანალიზს, სრკ-ს აღმასრულებელმა დირექტორმა წარუდგინა გამგეობის წევრებს პრეზენტაცია, სადაც დეტალურად იქნა მიმოხილული ფრანჩიზების პრაქტიკა სარაგბო სამყაროში, „შავი ლომის“ ამჟამინდელი მდგომარეობა: მორაგბეების რაოდენობა და ხარისხი, სტაფის შემადგენლობა, ტურნირები, ბიუჯეტი. განხილულ იქნა „შავი ლომის“ მიზნები - 1) ეროვნული ნაკრების კანდიდატებისა და დიდი პოტენციალის მქონე ახალგაზრდების უფრო ინტენსიური განვითარება; 2) ადგილობრივი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება.

საკითხის განხილვის შედეგად, გამგეობის წევრები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია მსჯელობა შემდგომ სტრატეგიაზე, თუმცა მანამდე საჭიროა არსებული ტურნირების და ზაფხულის და შემოდგომის ტესტ-მატჩების დასრულება, რაც საშუალებას მოგვცემს ობიექტურად შევაფასოთ მიღწეული შედეგები, ასევე მსოფლიო რაგბთან და რაგბი ევროპასთან სამუშაო შეხვედრების გამართვა, რათა განვსაზღვროთ მომავალ სეზონ(ებ)ში ფრანჩიზისთვის ხელმისაწვდომი ტურნირები და შესაძლო მხარდაჭერა. მოკლევადიან პერსპექტივაში, ამოცანებად შეიძლება განისაზღვროს:

- 1) მორაგბეებთან კონტრაქტების გადახედვა და აქცენტის ახალგაზრდა მორაგბეებზე გაკეთება;
- 2) კომერციული შემოსავლების ზრდა;
- 3) დიდი 10-ის გაძლიერების ხელშეწყობა, რაგბი ევროპის სუპერთასზე მეორე გუნდად საქართველოს ჩემპიონის გაყვანის შესაძლებლობა.

გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებელია შედარებით მაღალი ხარისხის, სასურველია - ევროპულ ტურნირზე გასვლა.

4

მეოთხე საკითხი ეხებოდა შიდა ჩემპიონატის რესტრუქტურის პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს შიდა ჩემპიონატში მონაწილე კლუბების გაძლიერებას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას და შიდა რაგბის შემდგომი განვითარების ხელშეწყობას. პროფესიულ კლუბებთან ურთიერთობის მენეჯერმა ივა დავითაშვილმა და რესტრუქტურის პროექტის მუშა ჯგუფის წევრებმა -

ლექსო გუგავამ და ჯაბა მალაღურაძემ, წარუდგინეს გამგეობას დეტალური ინფორმაცია შიდა ჩემპიონატში არსებული მდგომარეობის თობაზე, პროექტის მიზნებზე, გათამაშების ახალ ფორმატზე, კლუბების სტრუქტურის გაუმჯობესების გზებზე, დაფინანსების ახალ სისტემაზე.

პროექტის შემდგომი ეტაპი მოიაზრებს კლუბების მდგომარეობის კიდევ უფრო სიღრმისეულ შეფასებას, მათთან დეტალურ კონსულტაციებს და პროექტში საჭირო კორექტივების შეტანას.

5

მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა კლუბ „ლოკომოტივის“ 2022 წლის 17 თებერვლის მომართვას, გამგეობის წევრებმა მოისმინეს კლუბ „ლოკომოტივის“ წარმომადგენლების თემურ ბენდიაშვილის და ზვიად მაისურაძის ინფორმაცია შიდა ჩემპიონატში მსაჯობის დონესთან და მიდგომებთან დაკავშირებით რაც, მათი აზრით, მეტად არადაამაკმაყოფილებელია და აფერხებს შიდა ჩემპიონატის დონის ამაღლებას.

მსჯელობის შედეგად, გამგეობის წევრებმა დაადგინეს, რომ საკითხი საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას და მოითხოვეს, რომ გამგეობის მომდევნო სხდომაზე სამსაჯო სამსახურმა წარმოადგინოს ანგარიში თავისი მუშაობის შესახებ.

6

მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის ფონდის დაარსებას, სრკ-ს პრეზიდენტის მრჩეველმა ნიკოლოზ ალავიძემ ისაუბრა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის ფონდის მიზნებზე, რომლებიც მოიცავს ვეტერან მორაგბეებზე ზრუნვას, ქველმოქმედებას სოციალურად დაუცველ ჯგუფებზე, სოციალურად დაუცველი წარმატებული მორაგბეების განათლების ხელშეწყობას, მორაგბეებისთვის თამაშის შემდგომი კარიერული განვითარების ხელშეწყობას და ა.შ. ნიკოლოზ ალავიძემ ასევე ისაუბრა ფონდის დაფინანსების შესაძლო წყაროებზე და მართვის სტრუქტურაზე და წარუდგინა გამგეობის წევრებს ფონდის წესდების პროექტი.

მსჯელობის შედეგად, გამგეობის წევრებმა ერთხმად მოიწონეს საქართველოს პრეზიდენტის ფონდის დაარსების საკითხი.

კობა გიორგაძე

აკაკი დავითულიანი

ზვიად თავართქილაძე

დავით კაჭარავა

გიორგი კობახიძე

იოსებ ტყემალაძე

გრიგოლ ქერაშვილი

გელა ქობულაძე

ალექსანდრე ხვედელიძე

ლაშა ხურციძე
